

**პატივისცემა<sup>1</sup> საბან ნაწარმოებ სიტყვათა სახეცვლილებანი  
თანამედროვე სალიბერალურ ქართულში**

ქართულ ენაში გვაქვს სიტყვა **პატივისცემა**. მისი მნიშვნელობა: ვისიმე (რისამე) მიმართ მოწიწების გრძნობის ქონა და ამისი გამოხატვა შესაბამისი ქცევით მასთან ურთიერთობაში, მათადადამე, ეს ცნება ეთიკის სფეროს განეკუთვნება.

ძველ ქართულში (ჯერ ისევ კომპოზიტის სახით) იხმარებოდა **პატივის-ცემა** და **პატივ-ცემა**<sup>1</sup> (რომელთაგან მეორე ვარიანტის პირველი კომპონენტი უბრუნვისნიშნოა); აგრეთვე მისი სინონიმები: **პატივისდება** (რომელიც ახალ ქართულსაც შემორჩა)<sup>2</sup>, **პატივ(ის)-პყრობა** და **პატივ(ის)-ყოფა**<sup>3</sup>.

ამ ბოლო დროს გახშირდა ხმარება სიტყვისა **პატივის მიგება** (**პატივს მიაგებს**) ნაცვლად **პატივისცემისა** და ლამის განდევნოს იგი, თუმცა არა ყველა კონტექსტში ძალუძს მისი შეცვლა. განსაკუთრებით ეს ითქმის მასდარის შესახებ. მაგალითად, თუ სავსებით ბუნებრივად უღერს შესიტყვება: „**პატივისცემა** დაიმსახურა“, ამას ვერ ვიტყვით წინადადებაზე „**პატივის მიგება** დაიმსახურა“. **პატივის მიგება** უფრო ამაღლებულ, საზეიმო ვითარების გამომხატველ კონტექსტს შეიძლება შეეფერებოდეს და ყველა შემთხვევაში ტრადიციული **პატივისცემის** უგულვებელყოფა არ გვეჩვენება გამართლებულად.

**პატივისცემა** სახელია რთული ზმნისა **პატივს სცემს**, რომლის პირველი და იმავდროულად ძირითადი სემანტიკური დატვირთვის მქონე ნაწილი არის სახელი **პატივი**. მისი დღევანდელი მნიშვნელობა ქართული ლექსიკონების მიხედვით ასეთია: „კეთილის მოპყრობა სიტყვით და საქმით“ (საბა), „შინაგანი გრძნობა უაღრესობისათჳს სხვსა ვისმე“ (ნიკო ჩუბინაშვილი), „კარგად მოპყრობა, დაფასება, სახელი, ღირსება“ (ქეგლ).

1 ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), 1973.

2 იბ. ქეგლ, 1950—1964.

3 ი. აბულაძე, დასახ. ლექსიკონი.

ძველ ქართულში ეს სიტყვა მრავალმნიშვნელობიანი იყო: „დი-  
დება, დიდი სახელი ან ხარისხი; საჩუქარი; „პატიოსანი“<sup>4</sup>. ძველ ქარ-  
თულშივე სახელი პატივი წვერია სინტაგმებისა: პატივი საქეფოა  
(„გვირგვინი“) და პატივი წიგნისა („კიდე“)<sup>5</sup>.

პატივისაგან გვაქვს, ერთი მხრივ, ნაწარმოები [მაგ., პატი(ვ)ოსანი  
(რომელიც ძველ ქართულში, დღევანდელთან შედარებით, რამდენადმე  
განსხვავებული მნიშვნელობისაა), საპატიონ, უპატიო, უპატიობა, უპა-  
ტიურობა, ნაპატი(ვ)ები (ეს უკანასკნელი ძირითადად „ქარგად მოვ-  
ლილის“ სემანტიკით)], ხოლო მეორე მხრივ, რთული სიტყვები (პა-  
ტივდებული, პატივმოყვარე, პატივაყრილი და სხვ.).

ამ ლექსიკური ერთეულის (პატივს სცემს) მეორე ნაწილს წარმო-  
ადგენს სცემს ზმნა, რომელიც პოლისემიურია ანუ რამდენიმე მნიშვნე-  
ლობის შემცველი. მისი ამა თუ იმ მნიშვნელობის გამოკვეთა სხვადა-  
სხვა ზმნისწინის დართვით ხერხდება (გა-, და-, ჩა-, მი-). ჩვენთვის სა-  
ინტერესო გამოთქმაში სცემს ზმნა უპრევერბოდ იხმარება დრო-კი-  
ლოთა სამსავე სერიაში (პატივს სცემს პატივი სცა, პატივი უცია).  
მის მნიშვნელობას მი- ზმნისწინის დართვა უნდა განსაზღვრავდეს:  
(მი)სცემს. ამას ადასტურებს ციტატები ძველი ქართული ენის სველე-  
ზიდან: „დიდება და პატივი მისცეს მას“, M II წმტ. 32, 33, „მას მის-  
ცედ ძლევისა იგი პატივი“, I ეზრა 3, 97. მაშასადამე, პატივს სცემს  
არის: „პატივს აძლევს“ (შდრ. სიტყვას მისცემს).

სცემს ზმნა ზემოაღნიშნული მნიშვნელობით („აძლევს“) გვხვდება  
აგრეთვე გამოთქმაში ნუგეშს სცემს.

პატივს სცემს შესიტყვებას ქართულში მოეძებნება ანალოგიური  
აღნაგობის გამოთქმები, რომლებშიც მეორე წევრად იგივე ზმნა არის  
გამოყენებული. ასეთებია: პასუხს სცემს, ხმას სცემს (ორივე ზმნა და-  
ირთავს გა- პრევერბს), ბოლთას სცემს, თაყვანს სცემს.

პატივისცემა ფორმის თავისებურებითაცაა, ალბათ, შეპირობებული  
ის ფაქტი, რომ ჩვენს ბეჭდურ პროდუქციასა და სასაუბრო ენაში ფე-  
ხი მოიკიდა (განსაკუთრებით ბოლო დროს) მისგან არამართებულად  
ნაწარმოებმა ფორმებმა, როგორცაა:

I. საპატივცემულო და მისი შეკუმშული ვარიანტი საპატივცემლო.

ა. საპატივცემულო:

4 ი. აბულაძე, დასახ. ლექსიკონი.

5 იქვე.

6 ამ სიტყვას (საპატიო) ვერ შეცვლის თანამედროვე მეტყველებაში გავ-  
რცელებული სიტყვები საპარესტიო და პრესტიჟული, რომლებმაც ახა-  
ლი ნიუანსიც გაიჩინეს („თავმოსაწონებელი“).

7 ორივე მაგალითი ამოღებულია ი. აბულაძის დასახ. ლექსიკონიდან. იხ.  
პატივი.

უზადო გარეგნობის ქალს, თანაც ფრიად საპატივეცემულ პიროვნებას, ასეთი ლაპარაკი არ შეეწენოდა (დ. კოკ., თარგმ.); ...ფრიად საპატივეცემულ პირის სახლის კარზე... ჩამოკიდეს... (ნ. დუმბ.); საპატივეცემულო სტუმრის მოსაწყენი სჯა-ბაისი (ე. ახვლე., თარგმ.); ჩვენი საზოგადოებისათვის საპატივეცემულო ადამიანია უქსოვადი ქსოვილების ფაბრიკა „დინამოს“ დირექტორი... („თბილ.“).

## ბ. საპატივეცემლო:

[საქართველოს მთავარმა ერაკლიმ] მიიღო ეს საპატივეცემულო ნიშნები... („კომ.“); საქართველოს მთავარმა სოლომონმა, რომელსაც ასევე გაეგზავნა საპატივეცემულო ნიშნები, მათზე უარი თქვა... (იქვე); არსებობენ ჩემთვის დიდად საპატივეცემულო ადამიანები... (გ. ასათ.).

მსაზღვრელი სახელი **საპატივეცემულო** და **საპატივეცემლო** იხმარება ნაცვლად მართებული **პატივსაცემ**ისა.

**სა-პატივეცემულო**-ო ეფუძნება ვნებითი გვარის ნამყოს მიმღეობას (**პატივეცემული**-), რომელზედაც **სა** — **ო** მაწარმოებლების დართვა ასეთ შინაარსს სძენს მას: „პატივეცემულისათვის განკუთვნილი“, რაც ნაკლებად ესადაგება იმ მნიშვნელობას, რომლის გადმოცემაც მას ევალება („პატივისცემის ღირსი“).

2. ზმნისართი **პატივსაცემად** შენაცვლებულია **საპატივეცემულოდ** ფორმით:

ილია ჭავჭავაძე და მისი თანმზლებნი შემდეგ ქ. ზუგდიდს ესტუმრნენ, სადაც მათ საპატივეცემულოდ შეკრებილ მრავალრიცხოვან ხალხს ილიამ სიტყვიით მიმართა („კომ.“); მინდა წაგიკითხოთ [დიდი სამამულე] ომის ვეტერანების საპატივეცემულოდ დაწერილი ლექსი (ტელეგად); ...მოსვითებს უკვე მოკუსროთ მის საპატივეცემულოდ გამოწყობილიყვენ... (ე. ახვლე., თარგმ.); სწორედ მის საპატივეცემულოდ დავარქვი ჩემს ნაბოლარას სულიცო („კომ.“); მთულოდნელად ხელმძღვანელი... გარდაგვეცვალა და მისი ხსოვნის საპატივეცემულოდ სულ ცოტა 15 დღით ადრე მაინც დავამთავრებთო სამუშაოს („კომ.“); [ინდიელებმა] იქ მოხაწილებობა უნდა მიიღონ ახლად არჩეული ბელადის საპატივეცემულოდ გამართულ ცეკვა-თამაშსა და მხიარულებაში (ანმ. ლეკ., თარგმ.); თითქოს ამოღენა ხალხი ბახას საპატივეცემულოდ კი არა, მათ სახაყად შეკრებილიყო აქ (ო. ჭილ.).

ცხადია, ეს ფორმა ისევე უარსაყოფია, როგორც მსაზღვრელი სახელი **საპატივეცემულო**.

3. შეგვხვდა დასახელებული ზმნისართის ასეთი ვარიანტებიც:

ა. **საპატივეცემოდ**:

მეგლისი... ელიზბარ ჭავჭავაძის საპატივეცემოდ გამართა („თბილ.“).

## ბ. საპატივსაცემო; საპატივსაცემოდ:

მას სულის სიღრმეში მოსწონდა კიდევაც ქვეყნის საპატივსაცემო კაცის ქვრივობა (ო. ჭილა); ჰაეროვანი და კდემამოსილი ბაბუცა საკმაოდ ნაყოფიერი დედაკაციც აღმოჩნდა და ...ერთმანეთის მიყოლებით სამი შვილი გაუჩინა პეტრე მაკაბელს: ჯერ ალექსანდრე, მერე ნიკო (ნათლობის წიგნში — ნიკოლოზი) და ბოლოს... ანეტა (ნათლობის წიგნში ანა, ბებოის საპატივსაცემოდ) (ო. ჭილა); ...პატარაძეულში ზემოთ აღნიშნულ გიორგი ლეონიძის საპატივსაცემოდ გამართული დღესასწაული „გოგლაობა“ (ეკომ.4).

ეს სიტყვა ნაწარმოებია პატივსაცემ- ფუძეზე სა — ო დანიშნულუბის პრეფიქს-სუფიქსის დართვით და, ვინაიდან საწარმოებულ რთულ ფუძეში უკვე იყო სა- აფიქსი, იგი გაორმაგებული აღმოჩნდა (სა-პატივ-სა-ცემ-ოდ), რაც სრულიად გაუმართლებელია.

აქვე მოვიყვანთ ზემოდსახელებული სწორი ფორმების (პატივსაცემი, პატივსაცემად) გამოყენების შემთხვევებს:

ერთ პატივსაცემ კაცს დედის გარდაცვალების გამო სამძიმარზე ვეახელი (ეკომ.4); „როშკაში ყუდია წიკლაურის ხსოვნის პატივსაცემად დოლი გამართა მისი გარდაცვალების წლისთავზე (კ. არაბ., აეთ. არაბ.); დოლს ამალღებულ რიტუალი სწორედ ასეთი კაცების პატივსაცემად იმართებოდა (იქვე); სტალინმა კი ამასობაში განაგრძო: ...ქველად, როცა ჯარები გამარჯვებას მოაპოვებდნენ, გამარჯვებული მხედართმთავრებისა და მათი ჯარების პატივსაცემად ყველა ზარი გუგუნებდა (ეკომ.4); უფროს შვილიშვილს პაპას პატივსაცემად მიზეფილი დაარქვეს (ეთილ.4); მოსკოვის მე-2 სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები თავის თავს „ვახტანგელებს“ უწოდებენ საყვარელი ლექტორის პატივსაცემად (ეკომ.4).

აქ განვიხილეთ ისეთი არამართებულად ნაწარმოები ფორმები, რომლებიც ეცილებიან ქართულ ენაში სავსებით ბუნებრივ, სწორ წარმოებაზე დამყარებულ სიტყვებს.

ქვემოთ შეგვხვებით ისეთ არასასურველ ფორმებს, რომელთა გამოყენებასაც ვერავის ვუსაყვედურებთ, იმდენად, რამდენადაც ქართულ ენაში დღესდღეობით უკეთესი ვარიანტები არ გავაჩნია:

### 1. უ-პატივცემულ-ო:

...და თუ მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში [ხელფასის] დაგვიანება უაინდობის გამო მოხდა, შემდგომ თვეებში ამის მიზეზი გახდა მოძრა-მეჭანიზებული კოლონისა და ტრესტის ხელმძღვანელობის უ-პატივცემულ ო დამოკიდებულება მუშათა სოციალური საჭიროებებისადმი (ეკომ.4); ჩვენ უნდა გვემინდეს მარტო-ოღენ ჩვენი უზნეო დიქციებისა; ფიქრებისა, რომლებიც უ-პატივცემულ ოა (!) ჩვენი მეგობრებისადმი, უ-პატივცემულ ოა (!) ყოველი ადამიანისადმი, ჩვენი სამშობლოსადმი („ლიტ. საქ.“).

სიტყვა უ-პატივცემულ-ო უქონლობის უ — ო აფიქსებით ნაწარმოები უარყოფითი ფორმაა პატივცემულ-ისა და ნიშნავს: „პატივცემულის არმქონე ან არმყოლი“ (მდრ. უ-ქულ-ო „ქულის არმქონე“, უ-სინდის-ო „სინდისის არმქონე“), ამ სიტყვის დანიშნულება კი არის გადმოსცეს ასეთი შინაარსი: „პატივისცემას მოკლებული“.

აზრის ნათელსაყოფად მოვიშველიოთ ერთხელ უკვე ხსენებული, პატივისცემ-ის ანალოგიური, რთული აღნაგობის სიტყვა თაყვანისცემა და მიმდრობა თაყვანცემული („რა მოხდაო, ისე მეკითხება ყველასაგან თაყვანცემული ლილა, რომ თაყვანისმცემლებიც ატრიალებენ ჩემსკენ თავს“ (დ. კოკ., თარგ.).

თაყვანცემულ-ისაგან ვერ ვაწარმოებთ უარყოფით ფორმას ამგვარად: უ-თაყვანცემულ-ო, რადგან იგი ენის ბუნების უგულვებელყოფის ნიმუში იქნებოდა, თანაც, ჩვენთვის საჭირო შინაარსის გადმოსაცემად — უძლური.

აქ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: არსებითი სახელებისაგან უარყოფითობის წარმოებისას ვიღებთ სავსებით მართებულ ფორმებს, რასაც ვერ ვიტყვით ისეთი ზედსართავეების შესახებ, რომლებიც მიმღებებს წარმოადგენენ (როგორცაა ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითები). საფიქრებელია, რომ ამათი არამართებულობის გაუცნობიერებლად, ინერციითა და ანალოგიით არსებითი სახელების უარყოფითი ფორმებისაგან მიუღიათ მზა ყალიბი სხვა ფუძისათვის.

2. უ-პატივცემულ-ობა და მისი შეკუმშული ვარიანტი უ-პატივცემლ-ობა.

ა. უპატივცემულობა:

მომხდარი დანაშაული მკვლელის უკიდურესი ცინიზმის, ბოროტი ხულიგნობის, საღიზმის აშკარა გამოვლინებაა, მან თვალნათლივ გვიჩვენა საზოგადოების უპატივცემულობა. უხეშად დაარღვია სოციალისტური თანაცხოვრების წესები („თბილ.“); და ამ ასე გაჩნდნენ ჩვენთან „პრივილეჯირებული“ შოფრები, რომლებიც თავს უფლებას აძლევენ არად ჩაავდონ ქუჩის მოთხოვნა, მოძრაობის წესი, მოვლენობა, უპატივცემულობა გამოიჩინონ საზოგადოების მიმართ („თბილ.“); ეს... თვითონ მოძღვრის უპატივცემულობა იყო (ვ. ბარნ.)<sup>8</sup>; მან გვიჩვენა საზოგადოების უპატივცემულობა („თბილ.“).

ბ. უპატივცემლობა:

ამაზე მეტი თვითნებობა, კანონის უპატივცემლობა, ამა რაღა უნდა იყოს? („კომ.“); [მან] კანონისა და კოოპერატივის წესდების სრული უპატივცემლობა გამოიჩინა („თბილ.“); ...ისე ჩამივლიდნენ, თავსაც არ დაშინებდნენ. უპატივცემლობის გამო არა... (დ. კოკ., თარგ.); ერთმანეთის უპატივცემლობისათვის ორივე მხარეს [სტუპარსა და მასპინძელს] მკაცრ პასუ-

<sup>8</sup> მაგალითი ამოღებულია ქეგლიდან.

ხისმგებლობას აკისრებს („კომ.“); რელიურ ცხოვრებაში მოქალაქე აწყდება ფაქტებს, რომლებიც მისი პირადი ინტერესების უპატივცემლობად უნდა შევადგასოთ („თბილ.“); ...ეს ზოგიერთი მოზინადრის დაუღვერობითა და უსულგულობით, ზენს გარშემო მყოფთა უპატივცემლობით უნდა ავსსნათ („თბილ.“).

ბუნებრივია, რომ ზემოხსენებული ფორმების გამოყენებისას (უპატივცემულო, უპატივცემულობა||უპატივცემლობა, უპატივცემლობით, აგრეთვე უპატივცემულოდ||უპატივცემლოდ) ავტორს გაუჩნდეს სრულიად გასაგები უკმარისობის გრძნობა.

რა გამოსავალი შეიძლება მოინახოს ამ შემთხვევაში?

უპატივცემულობა ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობას ეყრდნობა (უ-პატივცემულო-ობა). სიტყვა პატივისცემა პოტენციურად გულისხმობს როგორც ობიექტს, ისე სუბიექტსაც (პირველ ყოვლისა, სწორედ სუბიექტს; თუ ობიექტის ნაცვლად აქცენტს სუბიექტზე გადავიტანთ (რაც სრულიად „სამართლიანი“ იქნება) მაშინ პატივისცემისაგან შეიძლება მივიღოთ ფორმათა ამგვარი წყება: პატივისმცემელი, პატივისმცემლობა და, ბოლოს, ჩვენთვის საინტერესო უპატივისმცემლობა<sup>9</sup> ან, უკეთ: უპატივმცემლობა<sup>10</sup> (ამათ მიემატება ქვემოთ წარმოდგენილი ზმნისართი უპატივისმცემლობით||უპატივმცემლობით).

4. ზმნისართი უპატივცემულოდ და უპატივცემლოდ:

ა. უპატივცემულოდ:

[აერელიანთ შერთე] ბოლოს იმდენს დადიოდა და ყვიროდა, რომ ყველას თავი მოაბეზრა, დასცილოდნენ და ბოლო ხანებში უპატივცემულოდ და უბოდიშოდ ეპყრობოდნენ (ე. ახვლ., თარგმ.).

ბ. უპატივცემლოდ:

ეკ აღამიანი აგრე უპატივცემულოდ უნდა გაუშვა?!“ (ს. კლდ.)<sup>11</sup>; „ამიტომ ხშირად დამკვეთს უპატივცემულოდ, გულგრილად ეკიდებიან („კომ.“).

ეს ზმნისართი მიმართულებით ბრუნვაშია და ეყრდნობა უპატივცემულო ფორმას.

თუ აბსტრაქტული სახელის უპატივცემულობის ნაცვლად ჩვენ მიერ შემოთავაზებულ უპატივისმცემლობას (||უპატივმცემლობას) მი-

<sup>9</sup> წერილი მზად გვქონდა, როცა პრესაში შეგვხდა სიტყვა ურთიერთ უპატივისმცემლობა (ამრიგად, ერთმა ავტორმა უკვე „აგვიბა მხარი!“); აი, ეს მაგალითიც: „...ეს ურთიერთ უპატივისმცემლობას იწვევს და ყოველად შეუწყნარებელია“.

<sup>10</sup> შდრ. სიტყვა პატივის უბრუნვისნიშნისათვის თვალსაზრისით ძველქართული პატივ-ცემად.

<sup>11</sup> მაგალითი დამოწმებულია ქეგლიდან (რეატომეული).

ვილებთ, — მაშინ მისგან ზმნისართი მოქმედებით ბრუნვაში იწარმოება და გვექნება: **უპატივისმცემლობით** (უპატივმცემლობით).

ქართული ენა უნებითი გვარის ნამყოფ დროის უარყოფითი ფორმების საწარმოებლად ძირითადად უ პრეფიქსსა და უ — ელ პრეფიქსსუფიქსს იყენებს, მაგრამ, სანამ ამ საკითხზე ვიმსჯელებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, გავიხსენოთ შემდეგი: საგნის თვისების აღსანიშნავად ზედსართავები იწარმოება არსებით სახელებზე (საწყისებზე) ვითარებითი -ად (ხმოვნების შემდეგ დ) ნიშნის დართვით<sup>12</sup>. ასეთებია, მაგალითად, ტერმინები: ხსნა-დ-ი, დაშლა-დ-ი, ხლეჩა-დ-ი, დნობა-დ-ი, რყევა-დ-ი, წვა-დ-ი, შეცნობა-დ-ი, მონელება-დ-ი, ტევა-დ-ი, კუმშვა-დი და სხვ.

მათგან უარყოფითი ფორმების მისაღებად, როგორც ზემოთ ითქვა, ძირითადად უ პრეფიქსი ან უ — ელ წყვილი აფიქსი გამოიყენება.

სიტყვების ერთი ჯგუფი ორივე ტიპის წარმოებას იგუვებს. მაგალითად<sup>13</sup>:

|          |              |
|----------|--------------|
| უ-       | უ — ელ:      |
| უ-ბრუნ-ი | უ-ბრუნე-ელ-ი |
| უ-კუმშ-ი | უ-კუმშე-ელ-ი |
| უ-ხსნ-ი  | უ-ხსნე-ელ-ი  |

ჩვენს სამეცნიერო ტერმინოლოგიებსა თუ ლექსიკონებში (პრესა-შიც) უ-, უ — ელ აფიქსებით ნაწარმოები უარყოფითი ფორმების გარდა, გვხვდება სხვაგვარი წარმოებაც, სახელდობრ, უ — არ, უ — აღ (უ — დ) აფიქსებითა და არა ნაწილაკით, მაგ.:

|               |                  |
|---------------|------------------|
| უ — არ:       |                  |
| უ-ხსნ-არ-ი    | უ — აღ: (უ — დ): |
| უ-ხსნ-არ-ობ-ა | უ-ხსნა-დ-ი       |

არა ნაწილაკი:

არა-ხსნა-დ-ი

არა-ხსნა-დ-ობ-ა

იძლევა თუ არა ეს ორი წარმოება შინაარსობრივ განსხვავებას ახალი ფორმის წარმოქმნისას? შევადაროთ, მაგალითად, სიტყვები უკუმში და უკუმშველი. პირველი მათგანი, მეორესთან შედარებით,

<sup>12</sup> ა. შანიძე, ქართულ ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1973, გვ. 145—146.

<sup>13</sup> მაგალითები აქაც და სხვაგანაც (სადაც მითითება არაა), დამოწმებულია ტექნიკური ტერმინოლოგიის ქართულ-რუსული ნაწილიდან (1982 წ.) და ქვევლიდან. გამონაკლისია ორი ტერმინი: „უკუმში“ და „უხსნი“, რომლებიც დამოწმებულია ტექნიკური ტერმინოლოგიის 1935 წლის გამოცემიდან.

თითქოს უკეთ გამოხატავს იმას, რომ საგანი მოკლებულია კუმშვა-  
დობის თვისებას. ამგვარივეა ტერმინები: **უმტვრევი**, **უჟანგი**, **ურე-  
ცხი**, **უჭირჯვი** და სხვ. ზოგ სიტყვასთან ორივე წარმოებას „უჭირს“  
ამ შინაარსის გამოხატვა.

როგორც ჩანს, ამ სხვაგვარად ნაწარმოებ სინონიმებს უნდა „ეკის-  
რებოდეთ“ მეტი სიცხადე შესძინონ შესაბამისი ძირითადი (უ- თავ-  
სართით ნაწარმოები) სიტყვით გადმოცემულ მნიშვნელობას, მიუხე-  
დავად იმისა, რომ ზოგი სინონიმური სიტყვა არამართებული წარმო-  
ებისაა (იყენებს უ — აღ ურთიერთგამომრიცხავ აფიქსებს).

მაგალითები თანამედროვე პრესიდან:

...ისტორიის მსვლელობა შეუქცევადია და ეს უნდა ახსოვდეთ იმათ,  
ვინც ცდილობს პოლიტიკას აყალიბებდეს დღეს გუმინდელ ამბიციითა ნანგრევებზე  
(„კომ.“); დიხ, დაიწყო, მიმდინარეობს და კვლავაც გაღრმავდება ბაზრებში წესრიგის  
დამყარების პროცესი, შეუქცევადი პროცესი („თბილ.“).

უარყოფითობის უ- თავსართი ზმნისწინიანსა და რთულ სიტყ-  
ვებში „ინფიქსად“ იქცევა ხოლმე: ზმნისწინებში ჩაერთვის ზმნისწი-  
ნის მომდევნოდ, ხოლო რთულ სიტყვებში — მეორე კომპონენტის  
წინ.

მაგალითები<sup>14</sup>:

ამო-უ-ცნობ-ი (ამო-უ-ცნობელი)

ამო-უ-ხსნ-არ-ი (ამო-უ-ხსნელი)

ფორმა-უ-ცვლელ-ი

თბო-გა-უ-მტარობა

აბსტრაქტულ სახელებში უარყოფითობა ოდენ უ- თავსართით იწარ-  
მოება, რომელიც, როგორც ზემოთაც ითქვა, პრევერბიანსა და რთულ  
სახელებში „ინფიქსად“ ჩაერთვის.

მაგალითები:

უ-ადამიანობა

უ-დისციპლინობა

უ-წესიერობა

შე-უ-გუებლობა

გა-უ-მჭვირობა

გარდა-უ-ვალობა

თანა-უ-გრძნობლობა

სენ-შე-უ-ვალობა

მიზან-შე-უ-წონლობა

კეთილ-მო-უ-წყობლობა

თავ-და-უ-ჭერლობა

გულ-გა-უ-ტეხლობა

ბინა-მო-უ-კიდებლობა

<sup>14</sup> ზოგი მაგალითი ზემოთაც იყო მოყვანილი.



უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი მწერალი, როგორც ჩანს, უპირატესობას ანიჭებს უ თავსართის დასმას სიტყვის თავში, ე. ი. პრევერბის წინ. მაგალითად, ზ. ანტონოვთან გვხვდება **უ-შესაბამო**, ილიასთან კი — **უ-შესაბამობა**<sup>15</sup>, ნაცვლად ფორმებისა **შე-უ-საბამო** და **შე-უ-საბამობა**.

იმ მაგალითების ანალოგიას თუ დავეყრდნობით, რომლებშიც უ ინფიქსადაა ქცეული, შეიძლება **უპატივმცემლობა**-ს მეორე ასეიი ვარიანტიც დამატებოდა: **პატივ-უ-ცემლობა**.

არის ჯგუფი სიტყვებისა, რომელიც ზემოწარმოდგენილ მაწარმოებელთაგან ვერც ერთს ვერ იგუებს. ამის გამო ენაში ძველიდანვე დამკვიდრდა რიგი სიტყვებისა, რომლებიც უარყოფითობას არქარა ნაწილაკით იწარმოებენ.

მაგალითები ძველი ქართული ენის ძეგლებიდან:

**არმეცნიერი** („უცოდინარი“), **არა-არსი** („არა არსებელი“), **არაკეთილი**, **არა-უამი** („უქამო, უდროო“), **არარა**, **არა-საგმარი**, **არა-ღირსი**, **არა-ძლება** („«ლმობა», ტკივილი, უძლურება, სენი, ავადმყოფობა“), **არა-წმიდა**, **არა-წრფელი** („მრუდი, უწრფელო“) და სხვა მრავალი<sup>16</sup>.

ამგვარ წარმოებას ამჟამად ხშირად მიმართავენ სხვადასხვა დარგის ქართული სამეცნიერო ტერმინების შემუშავება-დადგენისას. აღსანიშნავია, რომ რიგი ცნებების სიტყვიერი ადეკვატური გამოხატვისათვის სწორედ ამგვარი წარმოებაა უზუსტესი.

მაგალითები (დეფისი ამ შემთხვევაში ორთოგრაფიული დანიშნულებისა არ არის):

ა. წარმოება **არ-** ნაწილაკით:

|                 |                        |
|-----------------|------------------------|
| არ-გაგება       | არ-სასმენელი           |
| არ-გაგონილი     | არ-საქნელი             |
| არ-გაკითხული    | არ-ქონა                |
| არ-გასაწყვეტო!  | არ ყოფილი              |
| არ-დასაცალებელი | არ-ყოფნა               |
| არ-დგმული       | არ-ცოდვა               |
| არ-მდომი        | არ-ცოდნა               |
| არ-ნახული       | არ-იწვებადი, უწვავი    |
|                 | არ-იწვებადობა, უწვაობა |

<sup>15</sup> ეს ორი სიტყვა ამოღებულია ქე გ ლ<sup>1</sup>იდან.

<sup>16</sup> მაგალითები დამოწმებულია ი. აბულაძის დასახ. ლექსიკონიდან. ამ საკითხზე იხ. ლ. გელენიძე, **არ/არა-ნაწილაკიანი სახელები ქართულში**: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი VI, თბ., 1984, გვ. 167; უარყოფითა ფორმების წარმოების შესახებ იხ. ბ. ჯორბენაძის წერილი „უარყოფის გამოხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში“, იქვე, გვ. 136—146.

ბ. წარმოება არა- ნაწილაკით:

|                           |                         |
|---------------------------|-------------------------|
| არა-მიღვეადი              | არა-მთლიანობა           |
| არა-ტვეადი                | არა-პარალელურობა        |
| არა-მდგრადი               | არა-საიმედოობა          |
| არა-ხსნადი, უხსნარი       | არა-ტოლმნიშვნელობა      |
| არა-ხსნადობა, უხსნარობა   | არა-პორიზონტალურობა     |
| არა-თავისუფალი, შეზღუდული | არა-თარაზულობა          |
| არა-ცეცხლმედეგი           | არა-თავყვანიმცემლობა    |
| არა-არსებითი              | არა-აკურატულობა         |
| არა-გამჭოლი               | არა-კოლეგიალობა         |
| არა-დამყოლი               | არა-კეთილსინდისიანობა   |
| არა-პროდუქტიული           | არა-დაინტერესებულობა    |
| არა-წესიერულობა           | არა-თანასწორუფლებიანობა |
| არა-რეალობა, ირეალობა     | არა-თანმიმდევრულობა     |

რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ თანამედროვე პრესიდან:

ა. არ- ნაწილაკიანი წარმოება:

და აი, ამიერიდან უკვე გვეცოდინება მათი [ნახატების] მუდმივი ადგილ-სამყოფელი — დათო კრაწაშვილის სახლ-მუზეუმი, მისი არღვეიწყების სიმბოლო („თბილ.“); [მეცნიერმა] მალე დასძლია არმონათესავე<sup>17</sup> ენის ათვისებასთან დაკავშირებული სიმძლეები, ქართულად ალაპარაკდა და დედანში გაეცნო ჩვენი პოეზიის ნიმუშებს („თბილ.“).

ბ. არა- ნაწილაკიანი წარმოება:

ანეტა გაგზავნა 41 ქვეყნის სხვადასხვა არასამთავრობო ანალგზარულ ორგანიზაციებს („თბილ.“); არაჯანსაღი ვითარების ანალიზი („თბილ.“); ამსუცველთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობით, არასაკმარისი მოწყობილობითა და საშუალო ერთეულთა ნაკლებობით ხსნიან („თბილ.“); შესაბამისად არაორაზროვანი და პირდაპირი იყო პარტიის რაიკომის ბიუროს დასკვნაც („თბილ.“); ჯვარდაწერილი [გურანდუხტა] მაინც უცხო იყო მისთვის [მეფე აშოტისათვის], გულის გარეშე იღვა, სულისაგან ჯერეთ შეუთვისებელ-შეუთვასებელი, არაბედენა (ვ. ბარნ).

ეს ტრადიცია უფლებამოსილ გვხდის უპატივისმცემლობის ერთერთ ვარიანტად არაპატივმცემლობა<sup>3</sup> წარმოვადგინოთ.

ამრიგად, ზემორეწარმოდგენილი ფაქტობრივი მასალისა და მსჯელობის საფუძველზე უპატივცემულობის სანაცვლოდ შემოთავაზებულა სამი ვარიანტი: 1. უპატივმცემლობა, 2. პატივუცემლობა და 3. არაპატივმცემლობა.

17 გამორიცხული არაა ბექდვის შეცდომა (არამონათესავე?)

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ გვაქვს პატივისცემის უარყოფითი ფორმის ერთი სახეობაც, სახელდობრ, ძველ ქართულში გაბატონებული და XIX—XX საუკუნეების ზოგი მწერლის ენაში შემორჩენილი სიტყვა უპატიობა (//უპატივობა), რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (რეატომულში) ასეა ახსნილი: „პატივახდილობა, პატივაყრილობა“. მაგ., „ვისრამიანის“ ეს ხელნაწერი... იწყება ასე: „უპატიობა წაგეკიდოს, ჩემი ნახვისთვის ნურას ისწრაფვი, შენ ერაობ გვიანად მომიხელთებ და საწუთრომანცა მიმუხთლოს“ („მწიგნ.“).

ეს სიტყვა, როგორც განმარტებიდანაც ჩანს, ჩვენთვის საჭირო ცნების ზედმიწევნით გამომხატველი არაა (აქ ხელშესახები ნიუანსური სხვაობაა), მაგრამ ვარიანტების შერჩევისას ეგებ მისი გათვალისწინება მაინც იქნეს საჭირო.

დასასრულ მხედველობაში მისაღებია ერთი გარემოებაც: მთელი ეს თეორიული მსჯელობა და უპრეტენზიო სურვილები შეიძლება უკმა შეიქნეს მოსაუბრე (ენობრივ) კოლექტივთან შეპირისპირებისას, რადგან იგი (ხალხი) სტიქიურად უხსნის გზას იმ ფორმებს, რომლებიც მას „ეხერხება“. ამგვარადაა ქართულში დამკვიდრებული უპატივცემულო<sup>ს</sup> ანალოგიური წარმოების ფორმები: უბოროტო, ულამაზო და მისო.